

~~345~~  
~~15~~  
1895

ଓର୍ବଲେଜ୍ ପ୍ରକାଶନ  
କାଳିଗାନ୍ଧିତାମାଲା

ନଂ VII



1895

## ქურნალის „ჯეჯილისა“

I ნუცა ლექსი—განდევილისა . . . . .	3
II მერცხლის ბუდე (თარგმანი)—ნინო ყიფანისა . . . . .	5
III ობოლი ლექსი—აჭავისა . . . . .	17
IV თეთრი ტრედი (თარგმანი)—ის. რ-ფისა . . . . .	19
V პატარა მარიკოს ნაამბობი (ფრანგულიდან) —ან. წ—ისა . .	29
VI ზღაპარი . . . . .	38
VII პატარა გმირები, პაპას ნაამბობი—ჭ. ბეგიძისა . . . . .	40
VIII ლოკოკინა—გერმან ვაგნერიდან—მიხავლის . . . . .	45
IX გიშერა (ფრანგულიდან) —ან. წ—ისა . . . . .	49
X მეფე და ბერი (ფრანგულიდან) —თ— . . . . .	50
XI ანდაზები, გამოცანები, ხალხური, არითმეტიკული ამოცანა, აკროსტიჩი, შარადა და რებუსი.	

„**ქურნალი „ჯეჯილი“** 1896 წელს გამოვა ყოველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს — ექსის მაგივრათ და ქურნალი მსოლოთ ერთი მანეთით მეტი ელიოება. (თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მ.) რედაქციაში მუდმივი თანამშრომლობა იკისრებს: რაჟ. ჯავახნაშვილმა, ალ. მირიანაშვილმა და ალ. გარესევანაშვილმა.



χ ι χ ο ρ ο

၁၉၂၃၁၇၃၀ၤ၆၂ ၅၁၂၁၄၈၂၀၂၆၀

၁၇၉၆၊ ၂၅

იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო!...

c. 86

No VI

၁၂၈

ଓ ୩ ୦ ୯୩ ୦ ୬ ୦

სტატემა ქ. ვ. როგორინცის || თუ. მ. დ. რომიანცა. გო. არ., ა. № 41.  
1895.



Дозволено цензурою Тифлисъ, 4-го Декабря 1895 года



ଗେର ଲାମାଶି ହିତୁନ୍ତା  
ହେମ୍ବ ତ୍ୟାନ୍ତାରାତ୍ରେ ଧାମଜଫାରା,  
ଶେମନମ୍ବଲୁରତୁଳ୍ୟେବେ ରାଲାଫାସ  
ମନ୍ଦୁସ୍ଵେନାରି, ତ୍ୟାତାରା.

କାନ ତ୍ୟେବେ ନିକ୍ଷାରତ୍ରିତ କ୍ଷୁଣ୍ଣନିଃ,  
ତିତକ୍ଷେତ୍ର ମାନିଥନ୍ତ୍ରେବେ „ମଶିବାନ“,  
କାନ ହୃଦୀରେ ମାଲାଲ୍ଲ କ୍ଷେତ୍ର ଶ୍ରେଷ୍ଠନ୍ତ୍ରେବେ  
„ତିତକ୍ଷେତ୍ର ରାମ ଶ୍ରେଷ୍ଠନ୍ତ୍ରିକାନ“.

— ମିଶ୍ରବ୍ୟଦି, ହିତୁନ୍ତାବୁ: ଶ୍ରେଷ୍ଠ କ୍ଷୁଣ୍ଣରେତ  
ଅ କ୍ଷେତ୍ରେଦା ଗ୍ରୂପ୍ସ ହାରତ୍ତୁଯୁବେବୀ,  
ଶ୍ରେଷ୍ଠରେ ପ୍ରେର ମିଶ୍ରବ୍ୟଦିନାବୁ, ପ୍ରେର ତିତକ୍ଷେତ୍ର,  
ଦା ହେମ୍ବ ତ୍ୟାନ୍ତାରାର ଆକ୍ରମେବୀ.

ଗିନ୍ଦା ନିମ୍ନାବୁ ଶାକ୍ରନ୍ତି  
ଶ୍ରେଷ୍ଠରେବେଶ ଗାସାତରଫ୍ରେଲାତା,  
ମାଗରାମ ନ୍ତ୍ରେ ନିର୍ମିତ, ଗ୍ରେତାଯ୍ୟା,  
ଶ୍ରେଷ୍ଠା ଅରା ଧାମରିହା କ୍ଷେତ୍ରାତା, —



ଏହା, ଏହା ତେଉଳି ଚାଲ୍ଲେ,  
ଏହାମ୍ଭେ ମେନ୍ଦିରା ମୈଲ୍ଲେଖିଲେ  
ଏହା କ୍ରୂଣ୍ଡା, ଏହାର ମଧ୍ୟେମ, କ୍ରୂଣ୍ଡା ମନ୍ଦିରେ  
ତେଉଳି, ମାନ୍ଦାରିଲାମିଲା, ତକିଲ୍ଲେଖିଲେ.

ଏହା ନେତ୍ରା ସାର୍କମ୍ଭେଲିଲେ ମିଳିଗା,  
କ୍ରୂଣ୍ଡା ଗୁରୁତ୍ବ ମାରିଦାତା,  
ମାଗରାମ ମାଲିକାତମା ହିତିର୍ଜନାମ  
କିଲାକୁଣ୍ଡ ଗାନ୍ଧାରିନାରିଦା.

## მერცხლის ბუდე

### მერცხლის ბუდე

შპიდლისა

(რუსულიდან)

I



თის მაღლობზე, წყლის პირას, საზაფხულო სახლი დგას. ამ სახლის კიბე სამი საფეხურით ჩადის ბაღში. ყავრის ქვეშ, ზედ სვეტზე, მერცხლის ძევლი ბუდეა. ეს ბუდე დიდი ხნის გაკეთებულია ნისკარტ-მაგარა ორი მერცხლისაგან, რომელნიც განთქმული იყვნ მეტის გამარჯვებით ჭივჭავებზე და გუგულებზე.

შემდეგ ამ ბუდეში ბუდობდენ ხან ერთი ნისკარტმაგარა, ხან მეორე. სხვა მერცხლები ვერა ბედავდენ იმათ ბუდეში დაბინავებას: ყველას ეშინოდა ნისკარტმაგარანთი, რადგან მათ უმიზეშოთ არ ერქვათ ამისთანა სახელი.

შვენიერი აპრილის დილა, მზე ათბობს დედა-მიწას; თოვლი დნება; აქა იქ მოჩანს შვენიერათ ამწვანებული მინდვრები. უცებ მოფრინდენ მერცხლები, რომლებიც აი ეს არის ახლა დაბრუნდენ უცხო ქვეუნებიდან და ეჩერებიან თავ-თავისი ბუდის გამართვას. ზოგს მოულოდნელი სტუმრების—ჭივჭავების გამორეკა დასჭირდათ ბუდიდან; ზოგი ჩხუბობდა რომელსამე მამა-პაპეულ ბუდეზე: არა ჩემი ბუდეა—არაჩემიო; ზოგი ჰქედავდა, რომ იმისი ბუდე დაშლილიყო და მწუხარეთ წრიპინებდა. მაგრამ ბეღნიერიც ბევრი იყო იშა-თში, რადგან მათ ბუდეებს გაახლების მეტი არა უნდოდარა.

ზემოხსენებულ სახაფხულო სახლის მოაჯირზედაც შემოჯდა ორი მერცხალი: ერთი დიდი, მეორე პატარა. ნისკარტმაგარაანთ ბუ-დე ახლა ამ დიდს მერცხალს ეკუთვნოდა და როცა გაშინჯა, თა-ვის ამხანაგს უთხრა:

— მე ამ ბუდის იმედი არა მაქვს. აქ არ დავბინავდები.

— რატომ, ძალუა, რატომ არ გინდა დადგე ამ შეენიერ მა-გარ ბუდეში? უპასუხა მეორემ, — მაშ თუ აგრეა, მე დამითმეთ.

— არც შენ გირჩევ: აი, ხედავ იმ გამსკდარ ყავარს, სწორეთ ბუდის შესავალში. — როცა წვიმა მოვა და წყალი ჩამოვა, ბუდე დასველდება და დაიშლება.

— არა მეონია, ჩემო კარგო, თქვა უმცროსმა მერცხალმა. — შარ-შან ჩეენ ამ ბუდეში ვცხოვრობდით და ეს გამსკდარი ყავარიც ჩეე-ნა გვეფარავდა; მზეც პირდაპირ დაგვცეროდა და წმინდა ჰაერითაც ვსუნთქავდით.

— შენ იცი, უპასუხა ძალუაშ, მე კი არ დაეიზარებ და ახალ ბუდეს გავიკეთებ.

მერცხლები ერთმანეთს გაშორდენ: ძალუა გაფრინდა ბუდის-თვინ ახალი ალაგის ამოსაჩჩევათ და უნცროსმა კი დაიწყო მამა-პაპეული ბუდის გასუფთავება; წმინდავდა ნისკარტითაც და პატარა გრძელი კლანჭებიანი ფეხებითაც; მიფრინავდა და მოჰქონდა თხა, ბზე, ჩალა, — ერთი სიტყვით დიდს ფაცაფუცშა იყო. აღამოზე სრუ-ლებით გათავა. ორიოდე მბზინაეთ ჩალაც ჩაუმატა დასამშენებლათ. დადგა შორი-ახლო და დაუწყო თავის ნაშრომს ცქერა.

— კარგი ბუდეაო! ჰეიქრობდა, განიერი, ფართო... ისე სწო-რეთ, სუფთათ და მაგრათ არის გაწყობილი, რომ ტყუილათ კი არ უკვირთ, ამდენ ხანს რომ გასძლო.

გახარებული აფრინდა მამალ-მერცხალთან მისაგებებლათ და უაშშო ყველაფერი.



## მეტცხლის ბუდე

— რატომ შენი ძალუა არ დადგა ამ ბუდეში?

— ისე, რა ვიცი, დაძველებულიაო, საიმედო არ არისო, უკმა-  
ყოფილოთ უპასუხა მამალ-მეტცხალმა.

### II.

სამი კვირის შემდეგ ბუდეში ეწყო ოთხი პაწაწინა ლამაზა  
კეტცხი და ზედ თაემომწონეთ და ამაყათ იჯდა დედა; მამა კი და-  
უღალავათ უზიდავდა ჭია-ჭუასა, რადგან ეგონა რომ, თუ ჩემი ცო-  
ლი კარგათ გამაძლარი არ იქნება ვერ გამოჩეკაშს თავის პირველ  
შეიღებსაო.

ამავე დროს საზაფხულო სახლში გადმოსახლდა ერთი ოჯახი—  
დედა, მამა და ორი შვილი: კატო შვილი წლისა და ვანო თერთმე-  
ტი წლისა.

მეტცხლები დასკეროდენ ბაეშებსა თავისი პატარა სანათური-  
დან რომლების კარიც ის იყო.

— ახ, ესკი ვერაფრათ მესიამოვნა, რომ ადამიანებთან ასე ახ-  
ლო ვართ, ამბობდა მამალი, ჰავანიც—ისეთი დაბალია, რომ ჩენ  
ბუდეშიაც კი ჩაიხელებიან.

მამალი მორცხვი იყო და ამიტომაც დაარქვეს—ჩიფჩიფა,—  
რომელიც მეტცხლების ენაზე ნიშნავს—მორცხვს.

— ადამიანისა რათ ვეშინიან? მათ რომ ცქერა დაგვიწყონ,  
ჩენ რა დაგვაკლდება მითა, უპასუხა დედა-მეტცხალმა. გამოჰყო  
ფანჯრიდან დაბზინებული პაწაწინა თავი, უშიშრათ გადაჭედა მოთა-  
მაშე ბაეშებს და ხმა-მაღლა დასჭყივლა: გამარჯვება თქვენიო!

— შეხედე ვანო, ყავარ ქვეშ მეტცხლის ბუდეა? — სიხარულით  
უთხრა კატომ თავის ძმას.— მერე რა დაბლაა! მივიდგათ სკამი და  
ვნახოთ!

— არა, კატო, არა, დაფოხებიან, ეხლა ეგენი კვერცხებზე სხე-  
დან.

— კვერცხებზე სხედან? მაშ ბარტყები ეყოლებათ? უჰ, რა მი-  
ხარიან! დაიწყო კატომ ხტუნაობა. ამ ლაპარაკის გამგონე ჩიფჩიფა  
ისე შეშინდა რომ ბუდის კუთხეში შიიკრუნჩა.

— ნუ გეშინიან მეოქი, უთხრა დედალმა, — როშელსაც ფეხ-  
მარდას ეძახდენ, — ჩიფჰიფას. — წამკარი და კინალამ კვერცხები დამამტკ-  
რეებინე. რისა გეშინიან, ეგენი ისეთი კარგი და მხიარული ბავშები  
არიან, რომ გულიც კეთილი ექნებათ. ჩეენ არას დაგვიშავებენ.

— ნუ ჯავრობ ჩემთ ფეხმარდა, საშინლათ შემეშინდება ხოლ-  
მე, როცა უცხო ეისმე დაეინახამ. მე თითონ არ მინდა, მაგრამ  
ფრთხები უნებურათ ამიკანკალდება, ფეხები დამიღუნდება და თვა-  
ლები ამემლვრევა ხოლმე.

ფეხმარდა გაჯავრებული მიბრუნდა იქით და ბავშებს დაუწყო  
ცქრა. ის ყოველთვის უჯავრდებოდა თავის მშიშარა ტოლს და  
თითონ კი გრძნობდა, რომ ნისკარტმაგარაანთ ჩამომავლობისა იყო  
და არაფრისა არ ეშინოდა.

### III.

ბარტყებიც გამოიჩიკენ. ფეხმარდამ დილითვე შეამჩინა, რომ  
ერთი კვერცხი ნაკრავი იყო. დაადო ყური, მოისმა იქიდამ წყნარი  
და ფრთხილი კაკუნი. გულმა სიხარულით დაუწყო ძერა.

ამ დროს ჩიფჰიფა მოფრინდა. ნისკარტში ჭია ეჭირა.

— მოიცა, მოიცა დაუძახა ტოლმა, ჯერ ჭამის ღრო არა ზაქეს.  
ჩენი ბარტყები ეხლავ გამოიჩიკებიან. ჩიფჰიფამ საჩქაროთ გადაყლა-  
პა ჭია და ფრთხილათ ჩაძერა ბუდეში.

ფეხმარდამ გატეხა პაწაწინა კვერცხი, საიდამაც გამოძერა ტი-  
ტველა ღლაპი. დედამ მაშინვე ფრთა დააფარა თავის პირველ  
შეილს.

აი, მეორე კვერცხიდამაც მოისმა ნელი კაკუნი; ამასაც უშველა  
დედამ, მესამეც მალე გამოიჩეკა. მეოთხე კვერცხი კი ჯერ გაუნძ-  
რევლათ იდო.

— ეს რა ამბავი? წუხდა დედა და უღონდებოდა გული, — იქ-  
ნება ვერ დავათხე კარგათ და მომიკვდა?

— ალბათ აგრეა, უპასუხა ჩიფჰიფამ; ეს კვერცხი უნდა გადავა-  
გდოთ.

— არა, ჯერ მოიცადე, შენ პატარა ხანს დაათბე და მე მანამ-  
დინ ბარტყებს მოვუვლი. ჩიფჰიფა დაჯდა კვერცხს. ფეხმარდამ ბა-

## მერცხლის ბუდე

რტყები თავისი ნისკარტით სულ თითო-თითოთ გაასუფთავა, მეტადრე პირეელი ბარტყი, რადგან ის იყო ყველაზე ლონიერი, თვალმარდი და მაგარ ნისკარტიანი.

— ეს ნამდეილათ ნისკარტმაგარანთ ჩამომავალია, გაიფიქრა დედამ. მერე ის ისევ მეოთხე კვერცხს დაჯდა და ჩიუჩიფა ჭია-ჭუას მოსატანათ გაგზავნა ბარტყებისთვის.

ფეხმარდა იჯდა კვერცხებზე და ელოდა, როდის დაუკაცუნებდა მეოთხე ბარტყი. უცებ გაიგონა კვერცხიდან წყნარი კაკუნი.

— ძლიერ არ მეღირსა! გაიფიქრა დედამ და უშეელა ნაჭუჭი-დან გამოძრომა.

— ოჰ, შე საწყალო, რა სუსტი რამე ხარ! ესეც გაასუფთავა და დაწვინა.

ჩიუჩიფაც მოვიდა. ფეხმარდამ გამოართვა საჭმელი, დაულეჭა, დაუნერწყება და აჭამა ბარტყებს. ბარტყები აღებდენ დიდრონ ყეი-თელ პირებსა და ჰყლაპავდენ საჭმელს; მეტადრე უფროსს ძლიერ იკავებდა დედა, ისე ეტანებოდა და ჰყლეჭდა პირიდან. უმცროსი, დასუსტებული კი არასა ჭამდა. დედა ძალათი უდებდა პირში საჭ-მელს, მაგრამ ორი-სამი ლუქმის შემდეგ დაიღალებოდა და დახუჭა-ვდა თვალებს.

მთელი ეს დღე ამ ნაირს ფაცურში იყვნენ: ნაჭუჭები უნდა გა-დაეყარათ, მოემზადებინათ ბარტყებისთვის თბილი და რბილი ლო-გინი, რამდენჯერმე ეჭმიათ, დაეძინებიათ და დაეთბოთ... მეორე დღეს ეს ფაცური ხამათ აღარ ეჩერენათ: დედაც და მამაც შეეჩერენ თავის საჭმეს. ერთხელ, მინამ ბარტყებს ეძინათ, თავისუფალი დრო ბეჭრი ჰქონდათ და დაწყეს ლაპარაკი:

— ახლა რა უნდა დავარქვათ ჩენს შეილებს? ჰქითხა მამამ:

— აი, მე კადეც მოვიგონე, უპასუხა დედამ: პირეელს დავარ-ქვათ „თმამა“, რადგან ძალიან მარდი და თამამია: მეორეს — „ლამა-ზა“, ერთი შეხედე მაგის შენიერს თვალებსა და ფეხებს!!!. მესამეს „მხიარულა“, მაგაზედ მხიარული არც ერთი არ არის, ყველაზე მეტათ ფრთებს ეგ იქნებს და ჭიკჭიკებს; და ჩემს პაწაწინა ნაბოლარა ქალს, — „ულონო“

## IV

გავიდა ორი კვირა; ბარტყები ბუმბულით შეიმოსენ და აქა-

იქა ფრთხებმაც წვერები გამოჰყვეს. მერე ჭიკჭიკიც დაიწყეს და დედას კარგათ ესმოდა იმათი ლაპარაკი.

ერთხელ ფეხმარდას ყავარზე რაღაც ხმაურობა მოესმა. შეიხედა ჩუმათ ჭუჭუტანაში და შიშით ელდა ეცა: ჩამოეყო კატას თავი და აბრიალებდა თვალებს. ფეხმარდა თუმცა მამაცი იყო, მაგრამ კატის დაბრიალებულმა თვალებმა, გრძელმა ულვაშებმა და დაღრენილმა კბილებმა ისე შეაშინეს, რომ სიმამაცე სულ დაეკარგა. ათ-რთოლდა და საცოდავათ დაიწყო წრიპინი. ჩიფჩიფაშ მაშინვე გაფრენა დაპირა, ფეხმარდას რომ არ შეეყენებინა.

— რომ მიფრინავ, ბარტყები? დაგავიწყდა განა, რომ ამათ ჩვენ უნდა ვუპატრონოთ? რაც უნდა იყოს მე ამათ თავს არ დავანებებ; ის მიღწევია რომ მეც ჩემ საყვარელ შეილებთან ჩამყლაპოს ამ-სა-შიშარმა მხეცმა...

კატა ჯერ ჩუმათ ჩაცქეროდა ბუდესა, მერე კი ნელ-ნელა ჩაპარა კლანჭებინი თათი.

ფეხმარდა კანკალით გადაეფარა მძინარე შეილებს, ჩიფჩიფა შიშით მოიზლარბა, დახუჭა თვალები და ცოლის ზურგს უკან მიიკრუნჩხა. კატამ უფრო ღრმათ ჩაპყო თათი და სწედა ბუდეს... უცებ რაღაც გასკდა, ძველმა თიხამ ვეღარ დაიმაგრა და ბუდე მიწაზე და-ეცა. ციცუნა ამას არ ელოდა: ისიც დაფთხა, კუდი ამოიძუა და გაიპარა.

უბედური დედ-მამა ბუდიდან ძლიერ გამოძერენ და ემდურებოდენ თავის ბედს: თუმცა ბარტყები რბილი ლოგინით ჩამოცვიედენ და ცოცხლები დარჩენ მაგრამ რა გამოეიდა? სულ ერთა არ არის? აბა ახლა რა ვეშველოთო? ასე წუხდენ ოჩივე მერცხალები; თავს დატრიალებდენ ბუდეს მიფრინდებოდენ, მიუტანდენ ჭიას, და ისევ გაფრინდებოდენ. ამათ ჭივილ-ჭყივილზე სხვა მერცხლებიც მოფრენილიყვენ და ისინიც დატრიალებდენ ბუდეს. ასე დაუღამდათ.

## V

გათენდა. დაიწყო სიარული ხალხმა, მაგრამ ბალახებში ბუდე ვერავინ ვერ დაინახა და ვერცარავინ ბარტყების ჭყიპინი გაიგონა. ბოლოს კატო და ვანოც ადგენ და მხიარულათ გამოცვიედენ აივა-

## მერცხლის ბუდე

II

ნზე. მერცხლები დაიმალენ: ფეხმარდა შეჯდა ახლო-მახლო ხის ტო-  
ტზე და იქიდან ათვალიერებდა ბავშებს.

კატომ ჩვეულებრივ შეიხედა ბუდისკენ და როცა დაინახა რომ  
ბუდე აღარ იყო, ერთი ამოიოპრა და თვალებიდან გაღმოცვინდა  
ცრემლები.

— რა იყო კატო? ჰკითხა ვანომ.

— შეხედე ბუდეს, სადღა არის, აბა რა იქნა?  
ვანომაც შეიხედა მალლა.

— ჩამოვარდებოდა. — გადასწყვეიტა ვანომ.

— გესმის განო, ბარტყები სადღაცა ჭუივაა! — უცებ წამოიძახა  
კატომ და დაიწყეს ორივემ ბუდის ძებნა.

— აქ არიან, აქა, — სიხარულით დაიძახა ვანომ, სულ ცოცხლე-  
ბი არიან: ერთი, ორი, სამი...

— ჰო, მაშ სულ არა ყოფილა, — თქვა დაღონებულმა კატომ:  
სამი კი არა, ოთხი უნდა იყოს; მე დავთვლილი ხოლმე, როცა თა-  
ვებს გამოყოფდენ ბუდიდან.

— მოიცა მოეძებნოთ ისიცა, — უთხრა ვანომ, შენ სანამ წალი  
და ცოტა ბამბა მოიტანე. რომ გავახეიოთ, თორემ შესცივათ.

კატო გაიქცა დედასთან და რამდენსამე წამს შემდეგ ვეებერ-  
თელა ბამბის ნაჭერი მოარბევინა.

— უჰ! გაიცინა ვანომ, ეს სამ ბუდესაც ეყოფა!.. აბა შეხედე  
რა პაწაწები არიან. ამათ მავ ბამბის ნახევარიც ეყოფათ.

— მეოთხე ბარტყი? — ჰკითხა კატომ.

— არ ვიცი, ჯერ ვერ ვიპოვე, ესენი შევახეიოთ, აი როგორა  
კანკალებენ. — შენვეული ბარტყები კატომ კალთაში ჩაისხა და ურთ-  
ხილად დაჯდა.

— იცი, კატო, შენ მაგათ ხელს კი ნუ ახლებ, თორემ დაიხო-  
ცებიან, — უთხრა ვანომ, როცა დაინახა რომ კატომ ბამბას გადასწია.

— არა, ვანო ხელს კი არ ვახლებ მაგრამ, მარტო დანახვა მი-  
ნდოდა.

ვანო ბევრს ეძებდა მეოთხე ბარტყს ბალახებში, მაგრამ ვერ  
ჰკოულობდა.

— ლმერთო, რა დიდი ცხვირები აქვთ, ვანო, რა ნაირი ყვი-  
თელი პირები, ენაცა ჰქონიათ, აჲ, თვალები? რა ქუქუნა თვალები  
აქვთ?!.. პაწაწინა ფეხები, მოკლე ფრთები, ჯერ ბოლო არ გაზდიათ...

— ჰო, კარგია, კარგი, — გაუჯავრდა ვანო: ვანოს სწყინდა, რომ  
მეოთხე ბარტყეს ვერა ჰპოულობდა და ეს კი კითხვებით ჩასციებო-  
და. — ჯერ მოიცავდე და მერე გავშინჯოთ, შენი ლაპარაკით ბარტ-  
ყის ჭყიპინი არ მდემის. აი წელანაც თითქო რაღაცა მომესმა; ნეტა-  
ვი რა იქნა? კატო, იქნება „შეგცდა და სამის მეტი არ იყო?

— არა, ვანო, მე კარგათ დავთვალე რომ ოთხი იყო.

უცემ ბალკონის ქვეშიდან მოისმა ჭყიპინი.

— აი, აი, ვანო, სადა ჭყიპინებს!!

ვანო გაიქცა იმ ადგილს, ჩაჰურ ხელი კიბის ქვეშა და ამო-  
აძერინა „ულონო“.

— რა პაწაწა ჩიტია, ყველაზე პატარა ესა ყოფილა, — უკეირდათ  
ბავშვებს.

— ამას კი შეხედე, რა ეშმაკია, თითხე მიებინა, ეს კი რა  
დაბზენილია. სულ კი სხვა-და-სხვა ნაირები არიან, — დაფიქრებითა  
თქვა კატომ.

— ჰო, მართალია, — მოკლეთ უთხრა ვანომ; იმას ბევრი ლაპა-  
რაკი არ უყარდა; აბა ახლა მე მომეცი და შენ წადი ბუზი დაიჭი-  
რე, ან ჭია რომ ვაჭამოთ.

— შენ იმედი გაქვს რომ გაეზდით? ჰო, ვანო? ეხლა ეგენი ჩვ-  
ენ უნდა გაეზარდოთ, განა, მაგათ დედ-მამა არა ჰყავთ, ობლები  
არიან, არა?!...

— აი, ენახოთ, შენ ბუზი მოძებნე.

კატომ მარტათ მოარბევინა ბუზი. ვანომ ნისკარტთან დაუჭირა  
ჩიტებს, მაგრამ შეჭმას ვერა ბედავდენ: აღამიანების სიახლოვემ ძა-  
ლიან დააშინა ისინი. თუმცა ბამბაში ძალიან თბილობათ, მაგრამ  
ვინ იცის ბოლოს რა მოუვიდოდათ? იმათ დედას უფრო მეტათ ეში-  
ნოდა: რამდენჯერმე გადურბინა ჭყივილით ბაეშებს თავზე!

დაჯდა ახლო-მახლო ტოტზე და უცქეროდა ხან ერთი და ხან  
მეორე მხრიდან: — თავი დაანებეთ ჩემ შეილებს, არ დამიჭყლიტოთ.  
ოჳ, არ დამიჭყლიტოთ, არ გადაყაროთ, დასხით, ხელს ნუ ახლე-  
ბთ!..

მაგრამ ბაეშებს არა ესმოდათ რა იმისი და ვერცა ჰქედავდენ,  
მინამ ისე ახლო არ გაუჩინია ბაეშებს, რომ ფრთაც კი მოსდო.  
ვანო მაშინ მიხედა:

— ეს ხომ დედა, რა ახლო დაჭურინაეს, სწორეთ დედა! რა

## მერცხლის ბუდე

კარგი იქნება ბუდე ისე მოუხერხოთ რომ, დედა თითონ აჭმევდეს, თორემ ჯერ პატარები არიან და თავის პირით ვერა ჭამენ.

— მართლა, ეანოჯან, შენი ჭირიმე, როგორმე მოახერხე, კარგი იქნება.

— ჰო, ჰო, დიალ, სულ მე და სულ მე, შენ რაღას მიკეთებ? თავ-მოწინებითაც და ხუმრიბითაც უთხრა ეანომ. მერე ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო მოაზრება.

— ჯერ ერთი რომ ბუდე ისევ თავის ალაგას უნდა ეკიდოს, შეორე, თავისუფლათ უნდა იყოს, მესამე, რომ ობილათ უნდა იყვენ... ა, ა, ა, მოიცა, მოიცა, რა მოვიგონე... გაიქე ჩქარა კატო და შენი კალათა მოაჩევინე, მარწყვი რომ მოგაქეს ხოლმე, ჩავაგოთ ბამბა, შიგ ესენი ჩაესხათ და იქ დავჭკიდოთ საცა ბუდე იყო, დედა უთუოთ მოფრინდება.



## VI.

ნახევარ საათში ბარტყები ისევ თავის ალაგას იყვნ და ძალიან უკვირდათ გადმოსახლება: გადმოეყოთ კისრები და აწყდებოდენ ერთმანეთს ისე რომ, კინაღამ „უღონო“ გაჭილიტეს. ბარშები მიიმალენ კუთხეში და ჩუმათ უცქეროდენ.

დედა-მერცხალი ამას ყველასა ჰქედავდა და როცა კალათა და-კიდებული დაინახა, დედას გულმა ვეღარ გაუძლო, ციბრუტივით

დატრიალდა ჰაერში და უცემ დაეშვა კალათაზე, პირში მომზადებული საჭმლით.

— დედა, დედა, დაიჭყივლეს ბარტყებმა, გვშიან, ჩქარა, ჩქარა... დედამ საჭმელი გაუნაწილა შეილებს და გაფრინდა კიდევ მოსატანათ,



— დაინახე? წასჩურჩულა კატოს გახურებულმა ვანომ.

— სსუ! გაჩუმდი, ისევ მოფრინდა, გააჩუმა კატომ.

— ჴო, ახლა კი აღარა უშავთ რა, — უთხრა ვანომ. წამო ვისუზმოთ.

დღეში რამდენჯერმე მოიჩბენდენ ხოლმე ბავშები და ათვალიერებდენ კალათას. დედა სულ კალათაში იჯდა, ან არა და უზიდავდა საჭმელს: ვანოს მოვონილი ბუდის სანახავათ სხვებიც ბეერნი მოდიოდენ და ვანოსაც თავი მოსწონდა.

ერთ საღამოზე ფისუნა კიდევ მიცუნცულდა ყავარზე. კატომ მაშინვე შეამჩნიო..

— შეხედე, ვანო, კატა, მგონი, ჩიტებთან მიიბარება?

— ჴედავ, ამ ეშმაკსა, კიდეც ამას ჩამოუგდია ბუდე, თორებ რათ უნდა ჩამოეარდნილიყო! მაგას თუ არა მოუხერხე-რა... კატა ჯერ მიიმალა, მაგრამ, როცა ვანო წაეიდა მეორე მხრიდან მოუკარა.

— დახე, ვანო, ისევ ეპარება ბუდესა.

—ახლა კი უთუოთ დაეწყერ და ჩამოვახრჩობ, შეჰყვირა გა-  
ჯავრებულმა ვანომ; იმას დავიწყდა, რომ ამ კატასაც ისე უვლიდა  
და აჭმევდა, როგორც ახლა მერცხლებსა. ჯავრობაზე კატა გაი-  
პრა და ამითი გადარჩა სიკედილს.

—იცი რა გითხრა, კატო, მოდი ეს კალათა ღამ-ღამე ოთახ-  
ში შევიტანოთ და დილით ისევ გამოვიტანოთ ხოლმე. ოთახში არ  
დაიხოცებიან და აქ კი კატა, უთუოთ, შეჭამს.

—მერე, დედა?

—დედას რა უჭირს უმაგათოთ.

„ფეხმარდა“ ძალიან შეწუხდა როცა კალათა ოთახში შეიტანეს:  
მთელი ღამე ძილი არ მოსელია. ვანომ მამასა თხოვა, რომ კალა-  
თა დილით აღრე გაეყიდნა გარეთა და იმანაც აღუსრულა თხოვნა.

მეორე დილით კატამ გამოჩენა ველარ გაბედა. მერე კი ერთი  
ორჯერ კიდევ მოიცუნცულა, მაგრამ ხალხის ხმაურობამ მალე  
ამოაძუებინა კუდი.

## VII.

„ფეხმარდა“ მალე შეეჩერა ამ ახალ დაწყობილებას, ალარც ვა-  
ნოსი და კატოსი ეშინოდა. მოუთმენლათ ელო და ხოლმე ყო-  
ველ დილით თავის შეილებს და როცა დაინახავდა გამოკიდე-  
ბულს კალათას, სიხარულით დაუწყებდა ჭმებს. პატარა მერცხლე-  
ბი მხიარულათ დახტოლენ და ფთხიალებდენ კალათაში; ასე რომ  
„ლამაზა“ რამდენჯერმე გაღმოაგდეს კალათიდან, მაგრამ „ლამაზას“  
არა დაშავებია რა, რაფგან ფრენა იცოდა და ძირს არ დაცემულა.  
ერთ დილით კატომ შეამჩნია, რომ ერთი ბარტყი აკლდა.

—ის რაღა იქნა? ვაი თუ კატამ შეჭამა? წუხდა კატო, მაგრამ  
უცემ დაინახა რომ, ბუდეზე მარდათ ჩამოეშვა ახალგაზდა მერცხა-  
ლი— „თამამა“.

—ვანო, ვანო, ერთი ბარტყი კიდეც დაჰურინაქს!!.

—რას ამბობ, კატო, მართლა? გაუკეირდა ვანოს.

—მაშა, მაშა, მე თვითონ დაეინახე! ერთი შეჰედე, მეორეც  
როგორა ცდილობს.

მართლაცა და „ლამაზაც“ ძმას ებაძებოდა, გაშალა ფრთები  
და აფრინდა ნელ-ნელა.

— მარდათ, მარდათ — ლონიერათ გაშალე ფრთები, უძახდა დედა. „ლამაზას“ გული მოეცა და გაფრინდა მარდათ. ამას მიჰყეა „მხიარულაც“ და დარჩა კალათაში მარტო — „ულონო“.

— ეს საწყალი რატომ აღარ გაფრინდა, ჰყითხა კატომ.

— არ ვიცი, უთუოთ ავათ არის, უპასუხა ვანომ.

არა, „ულონო“ კარგათ იყო და ფრთებიც გაეზარდა, მაგრამ თავისი თავი იმდენათ ულონო ევონა, რომ გაფრენას ვერა ჰქონდა.

დედა ძალიან უჯავრდებოდა:

— ისწავლე ფრენა, თორემ მალე აცივდება. ჩვენ წავალთ თბილ ქვეყნებში და მაშინ შენ გზაში ძიძაობას ვერავინ გაგიწევს. სხვებთან ვერ იფრენ, დარჩება შუა გზაზე და სიცივით გაიყინები.

„ულონომ“ როგორც იყო გაპბედა აფრენა და მერე ძმებზე უკეთ ისწავლა.

### VIII

— კატო, შეხედე ცარიელ კალათას! ახლა კი მალე დაგვანებები თავს ჩვენი მერცხლები... ეს, რა მალე გაირბინა ზაფხულმა; ახლა ისევ შკოლა, სწავლა, მასწავლებლები... ნეტავი შენა, კატო, რომ შინა სწავლობ.

— შენ რომ ამბობ, ვანო, თბილ ქვეყანაში გაფრინდებიან მერცხლებით, მაში იმათი კანიკულები იქნება ეგა? სიცილით ჰყითხა კატომ.

— ნო, მაგრამ, მაგათ უნდა ძალიან ბევრი იფრინონ, ჩვენსავით კი მალე არ მივლენ.

უმაწვილები ჩუმათა ჩიჩქნილენ ქვიშასა. დედა მერცხალი კი იჯდა ახლო ტორზე და იქ ლოცავდა ბავშებს, რომ შეიიღების გაზღაში უშველეს, მაგრამ ვანოსა და კატოს იმისი მადლობა და ლოცვა არ ესმოდათ.

— ვანო, მერმის რომ კალათა კიდევ დაყიდოთ, ჩვენი მერცხლები ისევ ჩაპონინდებიან შიგა?

— რა ვიცი, აბა ვცადოთ, მამამ აკი თქვა რომ, მერმისაც ამ სახლში ვიცხოვრებო.

სცადეს ბავშებმა, ან მოფრინდენ ისევ მერცხლები თუ არა, ჩვენ არ ვიცით.

ଓ ଦ ଓ ଲ ଠ

(ଶାନ୍ତିଶ୍ରୀ)



ଜେଇସ ତ୍ରୁଦିଲ୍ଲି ରଦୀସ ଫିରିଦ୍ଦ!  
ମୁଖ୍ୟେବୁ ବ୍ୟନ୍ଦାପ୍ରତ୍ୟାଳ୍ୟବି!!.  
ବିନ୍ଦୁ ମାତି ଗ୍ରେମି ଏଣ ପ୍ରଚ୍ଛବି  
ବାନ୍ଧୁରୁଲ୍ଲି ଆଜ୍ଞା ତ୍ରପ୍ତିବି.

କ୍ଷେତ୍ରଶି ହାମିଗ୍ରଦ ନଥିଲା  
କୁଣ୍ଡରମା ଘେରି-ନାପ୍ରତ୍ୟାଳ୍ୟମା.  
ଦାମିଶ୍ରୀପ୍ରତ୍ୟାଳ୍ୟା ବ୍ୟନ୍ଦା-ଦନ୍ତରନ୍ତମା,  
ବାନ୍ଧାଲା ମିଳିମା ମେ ତ୍ରପ୍ତିବି...

ଏଲାରପ ବୀଠିଦେବି, ଏହି ବ୍ୟପ୍ରଦେବି  
ଶ୍ରୀକୃତ୍ୟେ ସି ସବ୍ରିଦିଶା କ୍ରେତାଶା;  
ଘେରି ସାକ୍ଷେତ୍ରଶାତ୍ ବ୍ୟକ୍ତ ବାନ୍ଧେତି...  
ବାର, ହେଠ ଦେଇବି-ଶ୍ରେଷ୍ଠାଶା...

ଘେରାଶ ବ୍ୟେଦାଶ,—ମାମିଶା,  
ବ୍ୟେଦାଶ ମାମିଶ,—କାକାଶା;  
ଏହି ଗ୍ରହି କାଶୁର୍ବିଶ ଏଣ ମାନ୍ଦିଲ୍ଲେବ  
ରା ମିଳି ବାନ୍ଧାକାଶା.

ଓତ, ରା ମନ୍ଦିରିଆ ନଥିଲା  
ରା ଶୁନ୍ଦିଲ୍ଲେବି—ବ୍ୟରନ୍ଦବା!..,  
ଘେରିନାପ୍ରତ୍ୟାଳ୍ୟିବ ଘେରିବା!..  
ମିଳି ମନ୍ଦିରିରୁଲ୍ଲି—ମତ୍ରବ୍ୟରନ୍ଦବା!!.

დედის ჩძე თაფლი ყოფილა  
და დედინაცელის ნაღელა:  
დავლიე ყელზე დამადგა...  
ძიმწარეთ წამომახველა!..

ისევ დედის ჩძის ჭირიმე!  
ძუძუებს ვენაცვალები!!.  
ოცნებით მაინც შევეტკბო,  
სიცხადით განაწყალები.

აბაბი



## ତୃତୀୟ ପ୍ରକାଶନ

### ତୃତୀୟ ପ୍ରକାଶନ

(ଠାରଗମାନୀ)



ଏ ଉକାନାସଙ୍କ୍ରମିଲ ପ୍ରକାଶନ ପରିଲାନିଦୀଶ୍ଵର, ବ-ନ ସଂମେଖ-  
ର୍ଯ୍ୟାଳୀଲିର ସଂଜ୍ଞେଲ୍ଲାପ ଗାନ୍ଧାତଲ୍ଲେବିଲ ଝେରି ଫାଏଫା. ବା-  
ତ୍ରିନ୍ଦି ସଂମେଖର୍ଯ୍ୟାଳୀଲି, ମୁଦାମ ମିଳା ପ୍ରଦିଲାପଦା, ହନ୍ଦ  
ମିଠା ଉଚ୍ଚରିତ ପିଲାମେଲ ଓ ତାର୍ତ୍ତିଲୋଲିନି ଅଦାମିନ୍ଦେବିଲୋ-  
ଗିଲ ମିଙ୍ଗିରାବେଦିନା କୋଲମ୍ବେ. ମାନ ତାଙ୍କିଲ ମାମୁଲିଶ୍ଵର ଆଶ୍ରେ-  
ନା ରାମଲ୍ଲେନିମ୍ବ ଶ୍ଵେତିରି ଶାକଲୀ ଓ ଗାମନାକ୍ରାଦା  
ମଟେଲ୍ଲୁ ମି ଏଣ୍-ମାର୍କ୍ରେଶ୍ଵର, ହନ୍ଦ ମିଳାତି ଫାଙ୍ଗିରାବେଦା ଶ୍ଵେତ-  
ଲୋତ ମକୋଲାତ ଶ୍ଵେତେ ମାନିଜାରାଦର୍ଶିତ. ବାତ୍ରିନ୍ଦି ସଂ-  
ମେଖର୍ଯ୍ୟାଳୀଲି ମିଳା କି ଏ ସତ୍ରଲୀଲା ଶ୍ଵେତେ ମାନିଜାରା-  
ଦର୍ଶିତ, ବିନ୍ଦୁ ଫିଲି କିରାଳ ମିଲାମା ଶ୍ଵେତଲ୍ଲେବିଲା; ଶ୍ଵେତା  
ତ୍ରୈତ କାପି ଶ୍ଵେତଲ୍ଲେବିଲା ରିଗିନାନ ପ୍ରାପ୍ତା-କ୍ରେତିଲା ଓ  
ଶ୍ଵେତିଲା. ଶ୍ଵେତି ପ୍ରାପ୍ତି ପାଦିବିଲା; ଏହି ମଦିଦାର ମେତ୍ରାକ୍ଷତିର୍କ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମ  
ଏ ମିଳାକିରାବା ଏଣ୍-ମାର୍କ୍ରେଶ୍ଵର ଏହିତି ଶାକଲୀ ଓ ଅମାଶ୍ରେ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମ  
କିରାଳ ମେ ଗାନ୍ଧାଲ୍ଲେବିଲା, —ମେ ଶ୍ଵେତମ୍ଭେତ୍ର ନିଜିର ଶ୍ଵେତମ୍ଭାଦଲ୍ଲେବିଲା ଓ ତକ୍କେନ  
କି ପାଥ୍ରେତାତ ଶ୍ଵେତି ମିଲାପିତାନ. —ଶ୍ଵେତମ୍ଭାଦଲ୍ଲେବିଲା କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମ ସଂମେଖର୍ଯ୍ୟାଲୀଲି.

— କି ନ୍ଯ ଗାମିଜାରାଦର୍ଶିତ ଓ ଏହି ମେଘନା ଶ୍ଵେତିଲା ମେ ମିଳାକି-  
ରାବେଦିଲା ଅଜତିକାଳିକ ଶ୍ଵେତିଲା ହନ୍ଦ ଶାକଲୀର, ରାଧଗାନାପ ଶ୍ଵେତିଲା  
କିରାଳ ମେ ଗାନ୍ଧାଲ୍ଲେବିଲା, —ମେ ଶ୍ଵେତମ୍ଭେତ୍ର ନିଜିର ଶ୍ଵେତମ୍ଭାଦଲ୍ଲେବିଲା ଓ ତକ୍କେନ  
କି ପାଥ୍ରେତାତ ଶ୍ଵେତି ମିଲାପିତାନ. —ଶ୍ଵେତମ୍ଭାଦଲ୍ଲେବିଲା କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମ ସଂମେଖର୍ଯ୍ୟାଲୀଲି.

— ଦୀନକ, ଶିଖିବିଲା ଏହିକି ପାଦିବିଲା, ମିଳାକିରାବା ଶ୍ଵେତିଲା  
ମିଳା ଶଂମିଖର୍ଯ୍ୟାଲୀଲା.

— ନ୍ଯ ଗର୍ବ୍ୟନ୍ଦୀତ ଏହିକି ପାଦିବିଲା, ମିଳାକିରାବା ଶ୍ଵେତିଲା

წყრობა. მთელს ირლანდიაში არ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელ საც თქვენზე მეტს პატივსა ვსცემდე და თქვენზე მეტათ ვემსახურებოდე. ხომ არ მიბრძანებთ ხეალ კორკში გიახლოთ, საღაც გადაჭრილს პასუხს მივიღებ?

— გმადლობთ, მისტერ კოკს, მაგრამ ამ ფაქტი კორკში არაეთ-თარი საქმე არა მაქს, უპასუხა ცივათ სომხერეილმა.

— ის მაინც მიბრძანეთ, ვინ დამაბეჭდა თქვენს პატიოსნებასთან.

— არაეის არ დაუბეჭდებიხართ, ბატონი კოკს, ხოლო ცხადია, რომ თქვენი ცხეირის პატრიონს სმა უნდა უყვარდეს, დალურჯებული თვალის კილოები და დაკარული სახე კი ამჟღავნებენ, რომ ჩეუბის ამტეხი უნდა ბრძანდებოდეთ.

ზედ შევაკედები, თუ ვინმე ამ არე-მარეში დამიმტკიცებს, რომ მოჩეუბარი ვარ, ახლავე თქვენს წინაშე შევებმი, ვინც პირეელი დასძრავს ამის შესახებ ენას. ესა თქვა და მამუქა მუშტები, თითქოს ეს არის ახლავე სურს დაამტკიცოს თავისი სიტყვების სინამდევილეო. სომხერეილმა მხოლოდ გაიღიმა: გავლელ-გამომელელნი კი, რომელნიც ამ ამბის საყურებულოდ შეჩერებულიყვენ ქუჩაში, გულიანად ხარხარებდენ. კოკს ახლა კიდევ უფრო უნდობა, რომ მართალი გამოსულიყო.

— თქვენი საწყენი კი ნუ იქმნება და სრული სიცრუეა, თითქოს მაგარ სასმელებს ვეტანებოდე. აგრე ნახევარი წელიწადი იქმნება რაც პირში არაყიც კი არ ჩამიშვია. მარტო ერთხელ კი დავლიე ჯემი დოოლთან ერთათ და ჩემდა საუბედუროდ თქვენც იმ საღამოს შეგხვდით. ბაზრობიდან რომ გიახლებოდით შინ.

სომხერეილს არა უპასუხნია რა და ახალი სასტუმროსაკენ მიბრძანდა, რომელშიაც მეშუშე შუშებია სხამდა.

— როგორც მითხრეს ეს სასტუმრო გაქირავებული არ უნდა გქონდეთ, განაგრძო კოკსმა.—მოიცონეთ, რომ მე დამპირდით შარშან.

— შეუძლებელია... შარშან ფიქრათაც არ მქონია სასტუმროს აშენება, თქვა ბატონ სომხერეილმა.

— უკაცრავათ ნუ ვიქნები და თქვენ ხელს არ გაძლევთ, მაგისი მოგონება, თორემ აი იქ, ჭაობის მახლობლათ აღმითქვით, ბატონი კონნორიც ცყო იქ... შეგიძლიათ მას ჰეითხოთ.

— არაფერიც არა მაქს საკითხავი ვისმესთან, შეუტია ბატონ

## თეორი ტრედი

სომხერეილმა: — მე კარგათ მახსოვს, რომ თქვენთვის არავითარი პი-რობა არ მომიტა და ფუქრათაც არ მომსელია თქვენთვის სასტუმ-როს აშენება.

— მაში თქვენს პატარასწებას არ ნებავს მე სახლი მომაქრავოს?

— არა. არ მსურს მოიჯარადრეთ მყავდეს თქვენისთანა კაცი, რომელმაც, თუ მეტა არა, ათი ტყუილი მაინც მითხარით ამ ერთ წუთს.

— გმადლობთ! თქვენთან ამიერიდან არავითარი საქმე არ დამ-რჩენია. კუკსმა ჩამოიუხატა თვალებზე ქუდი, მოშორდა და წაიბუ-ტბუტა:

— ნახავ, თუ მე შენ ვერ გარდავიხადო.

მეორე დღეს სომხერეილი თავისი სახლობით წავიდა ახალი სასტუმროს დასათვალიერებლათ, რომელიც სრულიათ მოწყობილი და დამთავრებული იყო. გზაში შეხედა დურგალს; ამან უამბო, რომ წუხელი ღამით ვიღამაც ექვსი ფანჯრის შუშა გატეხაო.

— აა! უეჭველათ კოქსი გატეხდა ჯავრის ამოსაყრელათაო, თქვა სომხერეილმა.

მეზობლებიც, ეინც კოქსის ბოროტ ხასიათს იცნობდა, ყველა-ნი დაეთანხმენ სომხერეილს.

ამ ღროს წინ წამოდგა ერთი თორმეტი წლის ბიჭი და მოახ-სენა.

— მე ბატონი კოქსი არ მომწონს იმიტომ, რომ მუდამ მცემს, როცა მთერალია, მაგრამ მოვალე ვარ მოგახსენოთ, რომ ეს ბრა-ლდება სიმართლეს არის მოკლებული. წუხელ ღამე კოქსი იყო თავის ბიძაშვილთან ექვსის ვერსის მანძილზე, მაში ფანჯრებს არამც თუ გატეხდა, არც კი ეცოდინება არაფერი.

ბავშის გულახდილობა ძლიერ მოეწონა სომხერეილს. როცა სახლის კარგები გააღეს, ბავშმა ცნობის მოყვარეობით დაიწყო შიგ ცქერა. შენიშვნა ეს სომხერეილმა და ჰკიოთხა ხომ არ სურს მას ახა-ლი სასტუმროს დათვალიერება.

— დიალ, ბატონო.

— მაში წამოდი ჩევნთან.

უმაწვეილმა მხიარულათ აირბინა კიბე; როცა ყველა ოთახები მოიარა, მის სახეს გაკვირვება დაეტყო. ბოლოს სახლის აიგანზე ავიდა. იქ ზემოთ რაღაც შრიალი მოესმა. შეშინდა და უკან დაი-წია; როცა ჭერში აიხედა, დაინახა თეორი ტრედი, რომელიც ჭე-

რის ირგვლივ დაურთხიალებდა. შეშინებული ტრედი გაღებულ კა-  
რებში გამოფრინდა.

ამ დროს დურგალი სომერეილს რალაზედაც დერეფანში ესა-  
უბრებოდა. როცა მან თეთრი ტრედი დაინახა, ლაპარაკი შეწყვი-  
ტა და წამოიყერა:

— აი დამნაშავე, სწორეთ ამ ტრედმა გატეხა შუშები, ეკლე-  
სიის ფანჯარასაც წასულ კვირას ეგ გატეხდა. აი ახლა იატაკზე  
ზის, დავიჭრ და თავს მოვჭრიო.

— მოიცადეთ! ნუ მოსჭრით თავს ტრედს! დაიყერა ბავ-  
შმა, რომელიც კიბეზე ჩამორბოდა. — მე გავტეხე ფანჯარა, ბატონო,  
აი ამ ბურთით გაგიტეხეთ ის და აქამდინ-კი არ ვიცოდი, რომ ბუ-  
რთი აქ გადმოვარდნილა, თორემ უთუოთ გავამჟღავნებდი თუ ღმე. —  
რთი გწამთ თავს ნუ მოჭრით, შეევედრა იგი დურგალს, რომელ-  
საც კიდეც დაეჭირა ტრედი.

— თავს არც ტრედს მოვჭრით და არც შენ, კეთილი ბაეშო  
ანუგვშა სომერეილმა. — შენივე ს.ხე გემაწმება, რომ მართალს ამ-  
ბობ, მხოლოთ აგილსენი როგორ მოხდა, რომ შენ არ გცოდნია  
ისე გაგიტეხია ფანჯარა, ან როგორ დარწმუნდი ამაში?

— თუ ინებებთ და ზემოთ ამობრძანდებით, ყველაფერს დაწვ-  
რილებით გაიმბობთ.

სომერეილი გაჰყა, ბავშს, რომელმაც ის მიიყვანა გატეხილ  
ფანჯარასთან. ეს ფანჯარა გადაცემოდა მინდორს, სადაც სოფლის  
ბიჭები თავს იყრიდენ სათამაშოთ.

— გუშინ საღამოს, დაიწყო ყმაწვილმა; აი იქ ბურთსა ვთა-  
მაშობდით; ერთი ბიჭი არ მიჯერებდა, რომ მე ამ ფანჯარამდინ ბუ-  
რთის ამოსროლა შემეძლო. ჩენ დავნაძლევდით. მე ისე მაღლა  
აეისროლ ბურთი, რომ მეგონა სახლს გადავაცილე. ჩემმა მეტო-  
ქემ სახლს შემოურბინა, მაგრამ ბურთი ვერ იპოვა. ამან მასიამოვ-  
ნა. მაგრამ ისევ მაღლე დავლონდი, როდესაც გატეხილ ფანჯარაში  
ბურთი დაეგნახე. აი, ამ გატეხილში უნდა შემოურენილიყო ტრე-  
დი, ერთი მისი თეთრი ფრთაც კი დარჩენილა ფანჯრის ჩარჩოში.

— მისი ფრთები ფანჯრის ქვეშაც ბევრი ყრია, თქვა დურგა-  
ლმა, და ამიტომ უეჭველია ტრედის გატეხილი უნდა იყოს იგი.

— თუ ფანჯარა მე არ გამეტეხა, უპასუხა გატაცებით ყმაწვილ-  
მა, ისე ტრედს სახლში შემოფრენა არ შეეძლო. მაგრამ ასეა, თუ  
ისე, შუშების ფასს მე გადავიხდი ნამუშავრიდან. თეთრი ტრედი



## თეორი ტრედი

კი ეკუთნის ერთს ჩემს მეზობელ დედაბერს, რომელსაც ის ისე უყვარს, რომ მის დასახსნელათ არაფერს არ დაიშურებს.

— კეთილი ბავშვი, უთხრა მას სომხერვილმა, წაუყვანე ეს ტრედი შენს მეზობელ დედაბერს. შენი გულისთვის მიპატივებია ყოველივე ზარალი. დედაბერსაც ეგრე უთხარი. ფანჯრებს ჩვენვე ჩავსამთ და შენი სამუშაო, შენვე დავრჩება.

— მაგას რათ დარჩება, ჩაერია ლაპარაკში დურგალი. მართალია ეს იღებს სამუშაოს, მაგრამ თავისთვის ერთ გროშსაც არ იტოვებს, ყველას თავის მშაბლებს აძლევს. მოხუც მშობლებს სამართლიანათ მოაქეთ თავი ამისთანა შეიღლით.

— მეც ბედნიერი ვარ, რომ კარგი მშობლები მყავს, — წამოიძახა ყმაწვილმა. წინეთ, როდესაც შეძლება ჰქონდათ, ისინი არ იშურებდენ ჩემთვის არც შრომას და არც ფულს. ახლაც კი, ამ სიღარიბის დროსაც მხათ არან ხარჯონ სკოლაში ჩემს აღსაზრდელათ: მეც ვალდებული ვარ დავეხმარო იმათ დუქნის ქარის მიცემაში. მშვიდობით ბატონო, გმადლობ გულ-კეთილობისათვის, ბავშვა თავი დაუკრა სომხერვილს და წავიდა.

— სად ცხოვრობს ეს ყმაწვილი და ეინ არიან მისი მშობლები? — იკითხა სომხერვილმა. აქ ისინი არ უნდა ცხოვრობდენ, რატომ მათ შესახებ არაფერი ვამიგონია?

— დიდი ხანი არ არის რაც აქეთ ვადმოვიდენ, მოახსენა დურგალმა. წინათ სხვის მიწაზე ცხოვრობდენ. ამათი ვალარიბების მიზეზი ის იყო, რომ იჯარის ფასი ვერ ვაღიხადეს, ამხანავი გლახა ვამოადგათ, რომელმაც ყველაფერი გაფლანგა და ვეღარ შესძლეს მიწის პატრიანისათვის ღალა ეძლიათ. ისედაც ხელმოკლე ადამიანები დალარიბდენ, როდესაც თავისაცა და ამხანავის წილიც მარტო მათ ვაღიხადეს, ვაჲყიდეს საქონელიც და სხვაც, რაც რამ ვაჩნდათ, დატოვეს ფერმა და ამ ფულით აქ ვააღეს დუქანი. ჩვენს სოფელში უველას უყვარს ისინი და იმდენა ისევ გაკეთდებან. ეს ბიჭიც ბევრისა შეელის მათ, კარგათაცა წერს და რაც მის წლოვანებას შეეფერება, კარგათაც ანგარიშობს! მე მას დიდი ხანია ვიცნობ და არა დეს ცუდს ბავშებთან ნაცნობობა არ ჰქონია, არც ის მახსოვს, რომ უბრალო რამეშიაც სიცრუე ეთქვას.

— მე თქვენ სრულიათ ვეთანხმებით, დღევანდელი მისი საქციელი ამტკიცებს თქვენი სიტყვების სიმართლეს.

სომხერვილმა ვადაწყვიტა დაახლოებებით ვაცნობოდა ამ ღარიბ

სახლობას, თვალყური ედევნა იმათ ყოფა-ქცევისათვის იმ განზრას. ეთ, რომ თუ ღირსნი იქმნებოდენ, შემწეობა აღმოვჩინა მათვეის.

ამასობაში ბავშვმა მიჰვარა ტრედი პატრონს.

— რადგანაც სიკედილს შენ გადარჩინე, შენთვისვე შიჩუქებია ეს ტრედი, შეიღო.

ბავშვმა მაღლობა უთხრა დედაბერს და ამ დღიდან ტრედი გახდა მის საყვარელ საგნათ. ის მუდამ უყრიდა ეზოში საკენჭს, კვებავდა მას და ჩქარა ისე შეიჩეია, რომ ტრედი სამზარეულოშიაც შედიოდა, აჯდებოდა მას მხარზე და ესმოდა მისი დაძახებაც. საღამობით, რაკი ღუქანს დაკეტავდა, ბავში მოუჯდებოდა წიგნებს, რომლებსაც სოფლის მასწავლებელი აძლევდა. ერთხელ ისეთა წიგნი ჩაიგდო ხელში, საცა ცხოველებისა და ფრინველების აღწერაც იყო. ფრინველთა შორის ძებნა დაუწყო ტრედის ისტორიასა და თავის სასიხარულოთ იპოვნა სრული აღწერა თავისი ტრედის ჯიშისა.

— მე მეონია, შეიღო ჩემო, უთხრა ერთხელ მამამ, რომ სკოლის გაკვეთილებს შენთვის უნაყოფოთ არ ჩაუვლია, იმათ შენ შეგაყვარეს წიგნები; ახლა მასწავლებელი აღარც კი გჭირდება, ისეც კარგათ კითხულობ.

მე დიდათ დავალებული ვარ რომ მასწავლეთ წერა-კითხეა, უპასუხა ყმაწეილმა. აი ამ პატარა წიგნში მე რა ვიპოვე. დარწმუნებული ვარ ეს ჩვენ გამოვგადგება. თუ დამიგდებთ უურს მე თქვენ გიამბობთ რაშიაც არის საქმე.

მამა ჩამოჯდა იქვე ახლოს და დაუწყო ყურის გდება. ყმაწეილმა უამბო, რომ წიგნში აღწერილია ტრედები, რომელთაც შესწავლილი აქვთ წერილების გადატან-გადმოტანა.

— ჩემი ტრედიც, განაგრძო ყმაწეილმა. სწორედ ამ ჯიშისაა და მინდა შევასწავლო წერილების გადატან-გადმოტანა. ვითომ რაო? თუ სხვებს კი მოუხერხებია, მე რატომ არ შემიძლია გავწერონა ჩემი ტრედი. ხვალიდანვე შეუდგები საქმეს. ხომ მოგეხსენებათ რომ დიდ ფულს აძლევენ შიკრიკებს, და სიჩქარეში ხომ ვერც ერთი კაცი, ვერც ერთი ცხენი, ტრედს ვერ შეედრება; თქვენ რას იტყვით ამაზე?

— სრულიად გეთანხმები, მიუგო მამამ და ვისურვებ, რომ შენ შენი ტრედი მთელს ირლანდიაში განთქმულ ფოჩტალიონათ გავხადოს. მაგრამ გთხოვ კი ტრედის გულისათვის დუქანზე ხელს ნუ აი-



## თეთრი ტრედი

ლებ, ჩემის ფიქრით გაჭრობას უფრო შეუძლია ჩეენი გამდიდრება, მინამ თეთრს ტრედს.

ყმაწევილი მიჰყეა მამის რჩევას, მაგრამ თავისუფალ დროს მაინც ანდომებდა ტრედის წურთვნას. მოთმინებამა და მუყაითობამ გასჭრა: ბავშვმა ტრედი ისე გაჭროვა, რომ ერთხელ მანლობელ ქალაქი-დან მასას ამ ტრედის საშუალებით მოაწედინა ცნობა ხორცის ფასის შესახებ.

— ტრედი ჩემზე ადრე დაბრუნდებაო, დაიბარა წასელის ხანს, შემოფრინდება სამზარეულოს ფანჯარაში და საჭურჭლე შეკაფე და-ჯდება. ფრთას ქვეშ ბარათი ექმნება, რომელსაც შეხსნით და იქ ამოკითხავთ ხორცის ფასს.

ტრედმა მართლა მოიტანა ბარათი და მოხსუცის სიხარულსაც აღარ ჰქონდა საზღვარი ასეთის გამარჯვების გამო. ის მეზობლებიც-კი, რომლებიც წინათ დაცინოდენ ყმაწევილს ტრედის წურთვას, ახ. ლა ხშირათ მიმართავდენ მას და თხოვდენ ტრედსა- თეთრი ტრედს ქება მოეფინა სომმერევილის არე-მარეს.

ერთხელ ბაზრობის დროს ბოროტ-განზრახველთა ბრძანშ გადა-წყვიტა ბევრი ქურდობის ჩადენა. იმათ თავი მოიყარეს კოკისი დუ-ქანში, იმ კოკისი, რომელიც ამ მოთხრობის დასაწყისში მოვიხსენი-ეთ. ამ უკანასკნელს ვერ მოენელებინა რომ სომმერევილმა მას უწოდა და ლოთი, მოჩხუბარი და არც სასტუმრო მიაქირავა. ფიცი დასდო მისთვის სამაგიდო გადაეხადა.

როცა ბოროტ-განზრახველნი თათბირში იყვენ, ერთმა იმათვა-ნმა შენიშნა, რომ უფროსი ამხანაგი და წინამძღვალი არ მოსულა.

— ის ექვს ვერსტრე არის აქედან, თქვა მეორემ და დიდათ სა-მწუხაროა, რომ დროზე ვერ შევატყობინებთო.

ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, თუ რამდენათ ძნელია შორს მანძილზე ცნობების გადაცემა. ამ დროს კოკისი ცხრამეტის წლის ვაჟს, რომელიც ავაზაკო ვუნდს ეკუთვნოდა, მოაგიანდა თე-თრი ტრედი და ყველამ ერთხმათ გადაწყვიტა, როგორმე ხელში ჩაეგდოთ ასეთი საჭირო შიკრიკი.


მეორე დღესვე მივიდა ახალგაზდა კოკი ტრედის პატრონთან, ჯერ ნება-ყოფლობით თხოვა ტრედი და მერე კი მუქარასაც მიჰმა-რთა, მაგრამ ყმაწევილმა გადაჭრილი უარი უთხრა.

— ასე თუ ისე ტრედი ჩემი იქნებაო, უთხრა კოკისმა და გან-შორდა. რამდენმე დღის შემდეგ თეთრი ტრედი მართლაც დაიკარ-

გა. ამათ ჩაუარა ყმაწვილს ძებნაშ. ტრედის მნახველი არავინ აღ-  
მოჩნდა: აკრეთვე უარი თქვა ახალგაზდა კოკსმაც; მაგრამ ის მარ-  
თალი არ იყო, კოკსმა ტრედი ლამე მოიპარა და დაუყონებლივ გა-  
უგზავნა თავის ამხანაგებს, რომელთაც ძლიერ გაუხარდათ ასეთი სა-  
შოგარის ხელში ჩაგდება.

თავდაპირველათ ისინი გზაენიდენ ტრედს სომმერევილიდან მო-  
შორებით, ხოლო როცა იფიქრეს რომ მას დაავიწყდებოდა წინან-  
დელი ჩეცულებანი და წინანდელი პატრონიც, მაშინ კი სომმერევი-  
ლის არე-მარეშიაც ბედაედენ მის გაგზავნას. მაგრამ ტრედს მეტი მე-  
სიერება აღმოუჩნდა, მინამ ფაქტობდენ. ჩასვეს ის ერთხელ ტომა-  
რაში, წაიყვანეს ქ. ბალინაგრაშში და იქ გაუშვეს იმ იმედით, რომ  
ტრედი მიფრინდებოდა კოკსის ბიძაშვილის სახლში, რომელიც სო-  
მმერევილის გზაზე იდგა. თუმცა განგებ ამ სახლში მთელი კვირა ყა-  
ვდათ მტრედი და კარგათაც კვებავდენ, ის მაინც არ დადგა იქ, გა-  
ფრინდა თავის პირეელ პატრონთან სომმერევილში და ჩეცულებისა-  
მებრ ჩამოჯდა სამზარეულოს ფანჯარაზე. ყმაწვილმა რთ ეს დაინა-  
ხა, აღტაცებით გაულო ფანჯარა და შამოუშვა ოთახში.

— შეხედეთ! აი ჩემი თეთრი ტრედი, დაუყვირა მამას, წავიყ-  
ვან დედასაც გაჩვენებ.



ამ დროს ტრედი ფრთხები გაშალა და ყმაწყილმა შეამჩნია პატარა მოსერილი ქაღალდი, რომელიც მაშინევ შეხსნა. ოუმცა ბარათი ცუდათ იყო დაწერილი, მაგრამ მაინც გაარჩიეს.

აი რა ეწერა შიგ:

„ჩეენ რეანი გართ, საღამოს ათ საათზე ვიქმნებით მამაწემისას, მოვამზადებთ ყველაფერს, რაც კი საჭირო იქნება დიდი სახლის ვა-სატეხათ. სომმერეცლი ამაღამ შინ არ იქმნება, ტრედი ხეალაშილინ მანდ დაიტოვეთ.

თქვენი მურტაგ კოკს“.

როცა წერილის კითხვა გაათავეს, მამამაცა და შეილმაც მაშინევ ერთხმათ წამოიძახეს:

— წავიდეთ ბატონ სომმერეცლთან.

ყოველივე ღონე იღონეს, რომ ტრედი დაემაღათ და არავის დაენახა.

ამ ამბის გაგებისათანავე სომმერეცლმა ყოველივე საჭირო ზომა მიიღო, ბოროტ-განმზრაპელნი შეიპყრეს და დატყვევეს, მეორე დღეს სომმერეცლმა თავასი მხარელი მამა-შეილი დაიბარა და მაღლობა განუცხადა, თან ათი ოქრო დაუწყო წინ ყმაწყილს და უთხრა:

— შენ, უკველია, გეცოდინება, რომ ათი ოქრო ჰქონდა აღ-თქმული ჯილდოთ იმას, ვინც დაიჭერდა ქურდს ჯონ-დერმოდს, რომელიც შენის ჩენებით იქნა დაჭერილი.

— არა, არ ვიცოდი, მიუგო ბავშვა.—იმიტომ კი არ შემიტყობინებია თქვენთვის რომ ფული მიმეღო, არამედ სამართლიანათ ვთვლილი ასეთს საქციელს.

— სწორეთ ასეა, შეილო დაემოწმა მამაც.

— თქვენი დიდი მადლიერნი გართ, მაგრამ ამ ფულებს არ აეიღებთ: არ მინდა ხელი მივაკარო სისხლის ფასს.

— მე მესმის ჩემო კარგო, რომ ჯაშუშებსა და თქვენისთანა პატიოსან ადამიანთ შორის დიდი განსხვავებაა, თქვა სომმერეცლმა.

— დიალ, ბატონი, თუმცა ჩეენ ლარიბნი გართ, პატიოსნები მაინც ყოველთვის ვიქნებით.

— მჯერა: კიდევაც რომ გამდიღრდეთ მაშინაც კი აგრეთი პატიოსნები იქნებოდათ. ამას შემდეგ სომმერეცლი ყმაწყილს მიუბრუნდა და უთხრა: ძეირფასო მეგობარო, რამდენიმე დღით ვერ დასთმობ და ვერ მათხოვებ შენს ტრედს?

— სიამოვნებით, ბატონი, მიუგო ყმაწვილმა ღიმილით, და როცა დაბნელდა, მან თავისი საყვარელი ტრედი მემამულეს მიჰვარა.

რამდენიმე დღის შემდეგ სომმერეილმა მიიწერა მამა — და მისი შეიძლი.

— როცა იმათ ახალ სასტუმროსთან გაიარეს, დურგალი ჰქი-დებდა ტილო ჩამოფარებულ შავს ფიცარს, რომელზედაც სასტუმ-როს სახელი ეწერა.

— მეგობარო გეთაყვა, აღი კიბეზე და გაასწორე ეს ფიცარი: ეტყობა ბრუნდეთა დგას, უთხრა სომმერეილმა ყმაწვილს.

ბაეშმა დაუყონებლივ შეასრულა ბრძანება.

— ახლა კარგათ არის! მხოლოთ გაისარჯე და ტილო ახადე, შევხედოთ, როგორ უხდება.

ბაეშმა ტილო ახადა და იმის თვალებს წარმოუდგა შავს ფიცა-რზე დახატული თეთრი ტრედი და ქვეშ მსხვილი ასოებით ზედ წა-რწერა: „ჰონეილ“. (ეს ბაეშმის გვარი იყო).

— გაფრთხილდი, არ ჩამოვარდე და არ დაშავდე, უთხრა სო-მმერეილმა ბაეშს, რომელსაც შეამჩნია მეტის-მეტი მღელვარება. ჩამოდი საჩქაროთ და მაულოცე მამას რომ იგი ამიერიდან ახალის სასტუმროს „თეთრი ტრედის“ პატრონია. მე კი მიეულოცავ, მას, რომ ასეთი შეიძლი ჰყენხარ.

ის. ჟ — შვილი





## მარიკას ნამბიბი

(ფრანგულიდან გადმოღებული).



პატარა მარიკა მოწევნილი იყდა აიგანზე, უკელა წავიდა სასეირნოთ და ეს კი მინ უნდა დარჩენილიყო, რადგან ფეხი იტკინა.

უმაწვილმა უცბათ დაინახა მომავალი ბიძია. სამი თვე იუო, რაც ბიძია სხვაგან წავიდა და ახლა ისევ ბორუნდებოდა. მარიკომ დაინახა, თუ არა, შორიდანვე შეჭკივლა.

— ბიძია წავიდენ... მოგვშორდენ... თავის დღემი ვეღარა ვნახავთ... უჲ, რა მნელი უოფილა განშორება, წასვლა... იმათვის, რასა-კვირველია, ვინც რჩება... ვინც მიდის, იმათ სულაც არა

ენაღვლებათრა... არც კი მოიხედავენ, რომ თავიანთ მე-  
გობრებს ერთი კიდევ გამოეთხოვონ.

მარიკო ისე სხახა-სხუპით ლაპარაკობდა, რომ ბიძა  
ერთ წამს შედგა და ხმა ამოუღებლივ გაშტერებით შეცემ-  
როდა. სიტყვა მაინც არ გააწევეტინა.

„დედა ჩემი ამბობს,— განაცრმო მარიკომ — რომ ჩვენ,  
სხვები ჩვენზე მეტათ უნდა გვიცვარდეს... ახლა ისინი რა  
მხიარულათ იქნებიან, როდესაც მე ასე, მოწევნილი, ფეხ-  
ნატყენი გჲივარ. იმათი მიზეზით... ლამის ვიტირო...  
საწელი ჩვენი „ნაცარა“, საწელი „მალხაზა“. ბიძა,  
შენ სომ კეთილი ხარ, ხომ მიხვდები ჩემ ნაღველს. მაგ-  
რამ შენ ხომ ჯერ არა ფერი იცი, აქ არ დაგვესწარი!...  
აგრე დიდი ხანი სად იუავი? ჩვენ უკელანი კარგათა ვართ,  
ეს არის ცოტა ფეხი ვიტყინე და უნდა გიამბო უკელაფე-  
რი, თორემ ახლავე ვიტირებ.

„სუთმაბათს, რეა კათათვეს, ვაპირებდით სასეირნოთ  
წასვლას ვირებით. ის იუო მოგვიგარეს შექაზმული ვირე-  
ბი, რომ უეცრათ დაუშვა წვიმამ, მერე რანაირ წვიმამ —  
რანაირმა, სწორეთ ნიაღვარი იუო. გვეგონა ეს არი უკე-  
ლაფერს წალეგავსო... წარმოიდგინე ბიძა ჩვენი შეწუხე-  
ბა... ჩემი და ლიზიკო ტიროდა, მე ისე ვხვენემოდი და  
ვოხრავდი, თითქო ჩვენი მოსიას წისქვილიათ. ჩემი მმა-  
ზავლიკა უვიროდა, ბრაზობდა, ატებაზებდა ფეხებს. ბიძა-  
შვილი ვასიკო, კი, რომელიც ჩვენი მანუგაშებელია, ახ-  
ლაც გვეუბნებოდა: — მოთმინებაა საჭირო, ეს წვიმა იქნება  
ორმოც დღესაც არ გადიდოსო“.

— კაი ქეიფზე კი იქნებოდით, უთხრა ბიძამ.

„ჩვენ ოთხივე მივაწექით ფანჯარას. ზავლიკაშ იმდე-

ნი ატებაუნა თითები მინაზე, რომ გატეხა. მე კი, წამ-და-  
 უწყმ გატეხილში გაეუოფდი ხელს, რომ მენახა: კიდევ  
 წვიმს თუ გადიდო. ამ დროს დავინახეთ ერთი ჩიტუნია,  
 რომელიც მალ-მალ მოფრინდებოდა ფანჯრის ძირას. ჩი-  
 ტუნიები უოველ დღეს სწორეთ ამ ადგილას იურიდენ თა-  
 ვსა ნამცეცების ასაკრეფათ, რადგან ჩვენ სუფრას იქ ბერ-  
 ტუვდენ. ჰავლიკამ ერთბაშათ დაიუვირა: — კარგი იქნება ეს  
 ჩიტუნიები რომ დავიჭიროთო.

,,ჩვენ უველას გაგვეხარდა და ერთ ხმათ შევუვირეთ:  
 — რა კაი აზრი მოგივიდა თავში, აბა დავიჭიროთ!

,,ჰავლიკა საჩქაროთ გავიდა ოთახიდან, ჰატარა ხანს  
 უკან ისევ შემოვიდა და დაუგო ფანჯრის გარეთ კაკანა-  
 თი, რომ არ დაგვეფთხო ჩამოვეცალეთ ფანჯარას. დაიწ-  
 ეეს სხვა ჩიტუნიებმაც მოფრენა მარცვლების ასაკენებათ,  
 მაგრამ ვერც ერთს კაკანათი ვერ იჭერდა. მოთმინება კი-  
 დეც დაკარგეთ. იმედი აღარ გვქონდა, რომ უეცრათ შე-  
 მოვგეხმა გულ საკლავი წრიპინი. სულ ჰატარა ჩიტუნია  
 გაბმულიერ კაკანათში. უთუოთ გაბედულობამ თუ გააბა  
 ეს ჩიტუნია მახეში. ის საცოდავათ ფართხალებდა და  
 ფრთას ფრთაზე ჭკრავდა. არ იცოდა თავი როგორ გაენ-  
 თავისუფლება.

,,ჩვენ ჩიტუნია გამოვხსენით კაკანათიდან და ჰატარა  
 ხანს უკან გამოვჭიმეთ უაფაზაში, რომელიც ჰავლიკას  
 ეპოვა სადღაც ჩარდახში. ისე გავმსიარულდის, რომ და-  
 გვავიწედა წვიმაც, შექაზმული ვირებიც და სეირნობაც.  
 მამინვე უაფაზაში ბლობათ მარცვლები დაუუარეთ და წეა-  
 ლი ჩაუდგით. უკელა გარშემო შემოვეხვიერ ტუსაღს და  
 სახელათ „ნაცარა“ დაგრძევით. საბრალო ჩიტუნია უაფა-

ზის კუთხეში მიიკუნტა და ოთვორც კი მიუახლოვდებოდით, დაწეუბინებდა ცახ-ცახს.

„დედამ გვითხრა, რომ მალე მოკვდებათ, რადგან ჩიტუნიებს უვაროთ თავისუფლება; მარტოობას ვერ აიტანებოთ და ოთვესაც მოაშორებენ ხოლმე თავიანთ მეგობრებს საღველი გადაიტანსო. — მაში, მეგობარს ვუშოვით, — წამოიძახა პავლიკამ.

„ჩვენც მეორეთ დავაგეთ კაგანათი. სამი ღლის ლოდინის შემდეგ შეადღისას მეორე ჩიტიც დავიჭირეთ და იმასაც მაშინვე სახელათ დავარქვით „მალხაზა“, გვევონა რომ თავის სიმალხაზით „ნაცარხასაც“ გაამსიარეულებდა, მაგრამ მაპინვე იმედი გაგვიმტეუნდა. ამათ ერთმანეთს ისე გადახედეს, თითქოს არც კი იამათ ნახვა. — „დავტოვოთ მარტონი — თქვა პავლიკამ, ჩვენი თუ რცხვევენიათ; მოვშორდეთ და თითონ გაიცნობენ ერთმანეთს“.

„მეორე ღლესაც ესენი არ მიეკარენ ერთმანეთს — სხვა-და-სხვა კუნჭულებში ნაფვლიანათ ისხდენ და ოთვესაც „ნაცარა“ მივიდა მარცვლების ასაკენკათ „მალხაზამ“ ნისკარტიც ჩაჰქრა. ტეუილი იმედი იუო, ესენი არ დამევობრდებოდენ.

— „გაუშვით ეგ საცოდავები, ხომ ხედავთ რა უბე-დურები არიან, — თქვა დედამ.

— „რათ არიან უბედურები, — წამოიძახა პავლიკამ, უაფაზა შვენიერი აქვთ, საზღო არ აკლიათ, უოველ ღლე ახალ დაგლეჭილ ბალახებს ვუგებთ, უკავილებით ვამკობთ მაგათ უაფაზას, სხვა რა უნდათ?

— „თავისუფლება უნდათ, — გვითხრა დედამ — ფრენა უნდათ და დიდონი ხეები ბუღეების გასაკეთებლათ.

„რასაკვირველია, დედა მართალს ამბობდა, მაგრამ ჩვენ  
